ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3129692

ნომერი: AR1480871

თარიღი : 22.02.2017

გაცემის თარიღი : 07.03.2017

გაცნობის თარიღი : 27.03.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 24გ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირინა ქარჩავა პ/ნ 01023005860
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 24გ ბ. 48

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1480871 ელექტრონული განაცხადი, შპს ,,ლეგატო"-ს მიერ #AR1476779 განცხადებაზე წარმოდგენილ კრების ოქმთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 07 თებერვალს #AR1476779 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა

მოქალაქე ჯემალ ბაღათურიამ და მოითხოვა ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი #24გ-ში, #01.10.16.001.019.01.514 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ ფართზე კიბის მოწყობის ნებართვა. სამსახურის 27.02.2017წ. #3120537 გადაწყვეტილებით დადასტურდა ზემოაღნიშნულ მისამართზე, მოქ. ეკატერინე შენგელაიასა და მოქ. ნატალია შენგელაიას კუთვნილი ფართის ფასადზე, შპს „სითი გრუფ“-ის მიერ მსუბუქი კონსტრუქციის მქონე კიბის მოწყობის შესაძლებლობა.

2017 წლის 01 მარტს #AR1482756 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ჯემალ ბაღათურიამ და მოითხოვა ქ. თბილისში, ზემოაღნიშნულ მისმართზე #01.10.16.001.019.01.514 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ ფართზე მსუბუქი კონსტრუქციის ხის მასალის პოდიუმის მოწყობის ნებართვის გაცემა, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

დამატებით გაცნობებთ, რომ ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.